



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 4923118001

თარიღი:28/04/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 71

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამკვიტებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად :

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

კობა გურემიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახური მერიის სტრუქტურული ერთეულია.

სამსახურის შედეგა სამი განყოფილებისაგან:

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სამივე განყოფილება წარმოდგენილია 13 თანამშრომლით. თანამშრომელთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ , „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

თანამშრომელთა შორის სამუშაო ფუნქციები გადანაწილებულია სამუშაო აღწერილობების მიხედვით და ფუნქციური დატვირთვით ხდება მათი ჩართულობა სახაზინო პროგრამაში.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება, რომლის ვალდებულებაა, საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვა, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ბიუჯეტის ელექტრონულ სისტემაში ასახვას. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად საჭირო სამუშაოების ორგანიზებას და ზედამხედველობას.

მოგესხენებათ მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული. მისი დამოუკიდებლობა განპირობებულია საკუთარი შემოსავლებით და გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით. გამომდინარე აქედან სამსახური (ყველა განყოფილების ჩართულობით) ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ /ყოველკვარტალურ ანგარიშს და აგზავნის ქუთაისის სამხარეო ადმინისტრაციასა და ფინანსთა სამინისტროში.

განყოფილების მიერ მომზადდა და წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ფინანსთა სამინისტროში 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში.

ანგარიში ამავდროულად გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე.

პარალელურად ხორციელდებოდა 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის ბიუჯეტში ასახვით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას რომ 2023 წლის პირველ კვარტალში ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის ცვლილებებს, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს ანუ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპს.

გარდა აღნიშნულისა საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება ახორციელებს მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წლიური ხარჯთაღრიცხვების შესახებ წინადადებების შემუშავებას და შესრულებაზე ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების პროექტების შემუშავებაზე კონტროლს, მათ მიერ წარმოდგენილი სახაზინო ოპერაციების შესაბამისობის გადამოწმებას და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში წარდგენის ზედამხედველობას; ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტლებისა და თვეების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას მიღებულ ბიუჯეტის შესრულებაზე, მიმდინარე და ყოველწლიური ანგარიშების მომზადებასა და წარდგენას.

I კვარტლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით, მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც შეადგენდა 24 914,9 ათას ლარს, 2023 წლის პირველი კვარტლის ბოლოს განისაზღვრა 37 488 .1 ათას ლარით. აღნიშნული ცვლილებები ასახული იქნა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის გამოყვანა და მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით განაწილება მხარჯავი სუბიექტების მიხედვით.

ასევე მომზადდა საანგარიშო პერიოდში და წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მიმართვები საქართველოს მთავრობის მიერ ჩამოსარიცხი თანხების გაანგარიშების შესახებ შესრულებული სამუშაოებზე მიღება - ჩაბარებების შესაბამისად.

სახაზინო განყოფილება - ახორციელებს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში გადახდების განხორციელებას და შემოსულობების აღრიცხვას სახეების მიხედვით.

სახაზინო განყოფილების მიერ გადახდების განხორციელების მიზნით, თანხების გადარიცხვა ხდება ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამების, ქვეპროგრამების და საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდების შესაბამისად. აღნიშნული პროცესი ყოველდღიურია. ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება რეგიონალური განვითარების ფონდისა (პროექტების მიმდინარეობის შესახებ), ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის აპარატისათვის.

სახაზინო განყოფილების მიერ ხდება , ბიუჯეტით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე შედგენილი მიღება-ჩაბარებების საფუძველზე, გადასარიცხი თანხის განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ წლის განმავლობაში, მზადდება ბიუჯეტის შესრულების ყოველ კვარტალური და წლიური ანგარიში . აღნიშნულ საანგარიშო

პერიოდში მომზადდა და წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ანგარიშის მომზადებაში ჩართულია საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის სამივე განყოფილება. ანგარიში მოიცავდა ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ ნაზარდი ჯამით. ასევე მოიცავდა ინფორმაციას ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ. ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული, ბიუჯეტის შემოსულობების, თითოეული მუნიციპალური დაფინანსებაზე არსებული ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ. აღნიშნული ანგარიში ეგზავნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის მერს და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას. ასევე ყველა სხვა დაინტერესებულ პირს მომართვების თანახმად.

ასევე სამსახურის მიერ მომზადდა 2022 წლის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და 2022 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაცია.

ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება - საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მიერ ხდება საბიუჯეტო პროცესის ბუღალტრული დამუშავება და ბუღალტრული ანგარიშების მომზადება. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას) საფუძველზე. ასევე ხორციელდება საბიუჯეტო ასიგნებების ფინანსური და მატერიალური რესურსების ოპერატიული მართვისათვის აუცილებელი, ასევე სამეურნეო ოპერაციებზე და მის შედეგებზე, სანდო და სრული ინფორმაციის ბუღალტრულ პროგრამაში დროული ასახვა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განყოფილება აგრძელებს მუშაობას შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაზე. შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება ხდება საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით. შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა არეგულირებს ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის შედგენას სსბასს საფუძველზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შესაბამისად.

საბუღალტრო განყოფილების მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე ხელფასებით, საავადმყოფო ფურცლით, მივლინებების გაანგარიშება ჩარიცხვა და დეკლარირება, სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და წარდგენა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. ბუღალტრული ანგარიშის მომზადება საბუღალტრო პროგრამა „ორისში“. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების და ამ ქონების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის დროული ასახვა ბუღალტრულ პროგრამაში.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახური სუბსიდირებას უწევს 10 სხვადასხვა პროფილის მქონე არასამეწარმეო იურდიულ პირს, 9 მუნიციპალურ სამსახურს. ხელფასებით ანგარისსწორებას უწევს 184 საშტატო და 25 არასაშტატო თანამშრომელს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხორციელდება ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ყველა შემოსული განცხადების შესაბამისად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია მუნიციპალიტეტის სამსახურებს შორის.